ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 1
13/01/2017

1-08-4-201701131504

განკარგულება

სესხის აღების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აიღოს სესხი 10 წლის ვადით 668 276 (ექვსასსამოცდარვა ათას ორასსამოცდათექვსმეტი) ლარის ზღვრული ოდენობით კომპაქტორიანი ნაგავმზიდის მანქანებისა და ნარჩენების კონტეინერების შესაძენად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ნოემბრის N89 განკარგულება.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტარატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქ. N4.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა